ბრძანება:**ბ61.01212301**

თარიღი:**18/08/2021**

ბრძანება

ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ 945 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.022.059) არსებული შეზღუდვის/ვალდებულების მოხსნის თაობაზე

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ და „ყ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში შემოსული სს „პორტალი“-ს (ს/ნ: 404989241) 2021 წლის 12 აგვისტოს N10/01212242373-61 განცხადებისა გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2020 წლის 20 ნოემბრის NE-553-27-25821 ოქმითა („ადმინისტრაციული დაპირება“) და 2020 წლის 4 დეკემბრის Nე-553-27-25821 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუქციონის პირობის - „შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ შესრულება, შესაბამისად, მოიხსნას აღნიშნული შეზღუდვა ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა #1-ის მიმდებარედ 945 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.022.059).

2. წინამდებარე ბრძანება ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7).

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი